საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერთი მსახიობის თეატრი



ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, შეიქმნა 1987 *კ. მახარაძის* ინიციატივითა და თაოსნობით. თეატრი თავდაპირველად არსებობდა დარეჯანის სასახლის „სამლოცველო საჩინოში”, შემდგომ ბინა დაიდო ვ. ანჯაფარიძისა და მ. ჭიაურელის კერძო სახლ-მუზეუმში. ე. მ. თ. „ვ.“ აგებული იყო ლიტ. თეატრის პრინციპზე (პუბლიცისტური, შემეცნებითი სპექტაკლების ავტორ-შემსრულებელი – კ. მახარაძე). დაიდგა მონოსპექტაკლები: „რაც მტრობას დაუნგრევია...” (1987, მეტეხის თეატრის სცენაზე; ტექსტის თანაავტორი – *ა. ბაქრაძე*), „გამოიღვიძე, ქნარო” (1988, ტექსტის ავტორი – *ჯ. აჯიაშვილი*), „ბაგრატიონები” (1990, ტექსტის ავტორები: კ. მახარაძე და ლ. სანიკიძე); დაიდგა საავტორო სპექტაკლები: მ. ჯინორიას „და სიმღერით ვკვდები” (1995) და „ზღვა ძალიან ღელავს” (1996), გ. რეიმსჰაგენის „კაპრიჩიო” ნ. ბურდულის მონაწილეობით (1996), „ლაზიერის გამბიტი” (1997, ბ. ფოცხიშვილის სპექტაკლი მ. ფოცხიშვილის ლექსების მიხედვით), მ. სანტანელის „დედა-დედოფალი” ს. ჭიაურელისა და მ. ჯინორიას მონაწილეობით (1998, რეჟ. თ. კოშკაძე), „სტალინი” (1998, ავტორი კ. მახარაძე), „კარმენი” მ. ჯანაშიას მონაწილეობით (1999), *ნ. დუმბაძის* „მონატრება” (რეჟ. კ. მირიანაშვილი, 2000), უ. შექსპირის „ჰამლეტის” მიხედვით “დროთა კავშირი დაირღვა” (2000, მ. ჯინორიას საავტორო სპექტაკლი). ე. მ. თ „ვ-ში” ეწყობოდა შეხვედრები ხელოვნ. გამოჩენილ მუშაკებთან, შემოქმედებითი საღამოები. თეატრი საგასტროლოდ იყო თელ-ავივსა და აშდოდში (ისრაელი, 1988), აგრეთვე ერთი მსახიობის თეატრების ფესტივალებზე: კიევში (1996, სპექტაკლი „ბაგრატიონი” დაჯილდოვდა გრან-პრით), კიშინიოვში (1999, სპექტაკლი „კარმენი”; მსახიობმა მ. ჯანაშიამ მიიღო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო – „ოქროს იონი”).

Image not found or type unknown